მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგის თვითღირებულება მოიცავს შეძენის, წარმოებისა და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით. მარაგების შეძენის დანახარჯები მოიცავს მათი შეძენის ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (გარდა იმ გადასახადებისა, რომლებიც საგადასახადო ორგანოებმა კომპანიას უნდა დაუბრუნოს), სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებს და საერთოდ, იმ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის

დაკავშირებული მზა პროდუქციის, ნედლეულის, მასალებისა და მომსახურების წარმოებასა თუ შეძენასთან. სხვადასხვა სახის ფასდათმობები არ ჩაირთვება შეძენის დანახარჯების გაანგარიშებებში.

მარაგების თვითღირებულება გამოითვლება ფიფო მეთოდით (პირველი შემოსავალი - პირველი გასავალი). მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხებიც აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება ჩამოწერა ან ადგილი აქვს დანაკარგებს.

მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწერის უკუგატარების (ანულირების) თანხა ზრდის გაუფასურებული მარაგების საბალანსო ღირებულებას განახლებულ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირეს თანხამდე.

2.8 ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც ერთი საწარმოსთვის წარმოშობს ფინანსურ აქტივს, ხოლო მეორესთვის - ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები შეიძლება დაკლასიფიცირდეს სამ კატეგორიად - „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“, „რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი, ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით“, „რეალური ღირებულებით შეფასებული, ცვლილებების სხვა სრულ შემოსავალში ასახვით“. ჯგუფის ხელმძღვანელობამ შეაფასა, თუ რომელი ბიზნეს მოდელი შეესაბამება ჯგუფის ფინანსურ აქტივებს და ყველა აქტივი დააკლასიფიცირა შემდეგ კატეგორიად: „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი

მოცემული აქტივები ძირითადად წარმოიქმნება მომხმარებლებისთვის საქონლისა და მომსახურების მიწოდებიდან (მაგ. სავაჭრო მოთხოვნები). ისინი საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური აქტივის შეძენასთან ან გამოშვებასთან და შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, შემცირებული გაუფასურების რეზერვის მოცულობით.

სავაჭრო მოთხოვნებისათვის ჯგუფი იყენებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლის გამარტივებულ მეთოდს. ჯგუფი აფასებს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობას. შემდეგ მოცემული ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგებზე, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკით, რათა განისაზღვროს სავაჭრო მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. სავაჭრო მოთხოვნები წარდგენილია წმინდა ღირებულებით.

ამორტიზებული ღირებულებით წარდგენილი ფინანსური აქტივები მოიცავს სავაჭრო მოთხოვნებსა და მომსახურე ბანკებში განთავსებულ ფულად სახსრებს.

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარების შეწყვეტა (ფინანსური მდგომარეობის ანგარიშებიდან ამოღება) უმეტესად ხდება შემდეგ შემთხვევებში:

- ამოიწერა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლების ვადა, ან
- კომპანიამ დათმო აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის მიღებული თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; ან (ა)კომპანიამ გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ)კომპანიამ არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

თუ კომპანიამ გადასცა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან გააფორმა ამაზე ხელშეკრულება, იგი აფასებს, შეინარჩუნა თუ არა მან, ან რამდენად შეინარჩუნა ამ აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული რისკები და სარგებელი. თუ კომპანიამ არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, და ასევე არ გადასცა აქტივზე კონტროლი, კომპანია აგრძელებს გადაცემული აქტივის აღიარებას ამ აქტივში მისი მონაწილეობის შენარჩუნების გამო. ასეთ შემთხვევაში კომპანია მასთან დაკავშირებულ ვალდებულებასაც აღიარებს. გადაცემული აქტივი და მასთან დაკავშირებული ვალდებულება ფასდება კომპანიის მიერ დატოვებული უფლება-მოვალეობების საფუძველზე.

მონაწილეობის შენარჩუნება, რომელსაც აქვს გადაცემულ აქტივზე ერთგვარი თავდებობის ფორმა, აისახება აქტივის თავდაპირველ საბალანსო ღირებულებასა და კომპანიის მიერ გადასახდელ მაქსიმალურ თანხას შორის უმცირესით.

ფინანსური ვალდებულებები

თავდაპირველი შეფასებისას ფინანსური ვალდებულებები ნაწილდება შემდეგ კატეგორიებში: სამართლიანი ღირებულებით შეფასებული და მოგებასა და ზარალში ასახული ფინანსური ვალდებულებები, სესხები, მოთხოვნები ან

წარმოებული ვალდებულებები, რომლებიც განისაზღვრება ჰეჯირების ინსტრუმენტებად ეფექტური ჰეჯირების განხორციელების დროს.

თავდაპირველად, ყველა ფინანსური ვალდებულების აღიარდება რეალური ღირებულებით (სესხების შემთხვევაში აკლდება მათთან უშუალოდ დაკავშირებული გარიგების დანახარჯები), ხოლო შემდგომ ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით.

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო ვალდებულებებსა და სესხებს.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთჩათვლა

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთჩათვლა მოხდება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუ არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვის იურიდიული უფლება და ურთიერთჩათვლას ან ერთდროულად აქტივის რეალიზაციის და ვალდებულების დაფარვის სურვილი.

ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება

რეალური ღირებულება არის ის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი შეიძლება გაიცვალოს გარიგების მსურველ მხარეებ შორის, გარდა იძულებული გაყიდვისა, ან ლიკვიდაციისა, და მისი საუკეთესო მტკიცებულებაა აქტიურ ბაზარზე კოტირებული ფასი.

ფინანსური ინსტრუმენტები, რომელთა სამართლიანი ღირებულება უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას. როგორც წესი, იმ ფინანსური აქტივებისა (საბანკო ანგარიშები, მოკლევადიანი დებიტორული დავალიანება) და ვალდებულებების (მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანება) საბალანსო ღირებულება, რომლებიც არის ლიკვიდური, მოთხოვნამდე ან ხასიათდება მოკლე ვადიანობით (სამ თვეზე ნაკლები), უახლოვდება მათ სამართლიან ღირებულებას.

ამორტიზებული ღირებულებით ასახული ვალდებულებები. სავარაუდო სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა მოსალოდნელი ფულადი სახსრების ნაკადების მიხედვით, რომელიც დისკონტირებულია მიმდინარე საპროცენტო განაკვეთების მეშვეობით, რომელთაც ანალოგიური საკრედიტო რისკი და დარჩენილი დაფარვის ვადა გააჩნია (მესამე დონის ამოსავალი მონაცემები ფასს 13 - რეალური ღირებულების შეფასება). მიღებული სესხები და სხვა ფინანსური დავალიანებების საბალანსო თანხები უახლოვდება რეალურ ღირებულებებს.

ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები. ფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთების მექონე ინსტრუმენტების შეფასებული ღირებულება ეფუძნება მომავალში სავარაუდო ფულადი სახსრების ნაკადებს, რომელთა მიღებაც მოსალოდნელია მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით დისკონტირების მეშვეობით (მესამე დონის ამოსავალი მონაცემები ფასს 13 - რეალური ღირებულების შეფასება). მიმდინარე საპროცენტო განაკვეთები აღებულია იმ ახალი ინსტრუმენტებისგან, რომელთაც ანალოგიური საკრედიტო რისკი და დარჩენილი დაფარვის ვადა გააჩნია. გამოყენებული დისკონტირების განაკვეთები დამოკიდებულია კონტრაგენტის საკრედიტო რისკზე. გაცემული სესხები და სხვა ფინანსური დებიტორული დავალიანებების საბალანსო თანხები უახლოვდება რეალურ ღირებულებებს.

2.9 ამონაგები, შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

შემოსავლები აღიარდება იმ შემთხვევაში, თუ ცალსახად შესაძლებელია ოპერაციის შედეგად ეკონომიკური სარგებლის მიღება და თანხობრივად ამ შემოსავლის საიმედოდ შეფასება. აღიარების მომენტი არ არის დამოკიდებული ეკონომიკური შემოსავლის ფაქტობრივად მიღების დროზე. შემოსავალი ფასდება მიღებული ან მისაღები შეთავაზების სამართლიანი ღირებულებით გადასახადების გარეშე. ამ პროცესში გაითვალისწინება გადახდის პირობები. კომპანია წარმოადგენს გამყიდველს და არა აგენტს ან მინდობილ პირს ყველა მის შემოსავლის მიმღებ ოპერაციაში, მას აქვს ფასდადების პროცესის კონტროლი და მასზე ზემოქმედებს ოპერაციის შედეგად წარმოშობილი კონტრაგენტის საკრედიტო რისკი.

საქონლის რეალიზაცია

საქონლის რეალიზაცია აღიარდება მაშინ, როდესაც საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი გადადის მყიდველზე, ზოგადად, ეს ფაქტი კომპანიის შემთხვევაში დგება საქონლის გადატვირთვასთან ერთად.

შემოსავლები მომსახურებიდან

გაყიდული მომსახურების აღიარდება იმ სააღრიცხვო პერიოდში, როდესაც გაწეულ იქნა მომსახურება დაუყოვნებელი აღიარების მეთოდის გამოყენებით. გაყიდვები ნაჩვენებია ღებ-ს და ფასდათმობის გარეშე.

არის შემთხვევები, როდესაც შემოსავლის აღიარებასა და ანაზღაურების გადახდას შორის არის დროითი სხვაობა.

თუ მომხმარებელი ანაზღაურებას იხდის, ან საწარმოს უპირობო უფლება გააჩნია ანაზღაურების თანხაზე (ე.ი. წარმოადგენს მოთხოვნას) მანამ, სანამ საწარმო საქონელს ან მომსახურებას გადასცემს მომხმარებელს, საწარმო ხელშეკრულებას წარადგენს, როგორც სახელშეკრულებო ვალდებულება, როდესაც გადახდა განხორციელდება, ან ანაზღაურების თანხის გადახდის ვადა დადგება (რომელიც უფრო ადრე მოხდება ამ მოვლენებიდან).

სახელშეკრულებო ვალდებულება არის საწარმოს ვალდებულება, მომხმარებელს გადასცეს საქონელი ან მომსახურება, რისთვისაც საწარმომ მომხმარებლისგან მიიღო ანაზღაურება (ან რომლის ანაზღაურების გადახდის ვადა დამდგარია).

კომპანიამ გამოიყენა ფასს 15.121-ით გათვალისწინებული პრაქტიკული მიზანშეწონილობა და არ წარადგენს ინფორმაციას შეუსრულებელ სახელშეკრულებო ვალდებულებაზე განაწილებული გარიგების ფასის აგრეგირებული თანხის შესახებ, რომლის შესაბამისი ხელშეკრულების თავდაპირველი ვადა ერთ წელზე ნაკლებია.

2.10 ხარჯების აღიარება

მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვეტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

2.11 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.

სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღირიცხება უპირობოდ მისაღები კომპენსაციის ღირებულებით (ჯგუფს არ გააჩნია მომხმარებლებთან სავაჭრო ურთიერთობები, რომლებიც მოიცავენ მნიშვნელოვან ფინანსირების კომპონენტს), ხოლო შემდგომ იზომება ამორტიზირებული ღირებულებით, რომელიც თავის მხრივ, შემცირებულია მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგის ანარიცხით. მოთხოვნების მოკლევადიანი ბუნებიდან გამომდინარე - ამორტიზების ეფექტი ტრივიალურია.

მოთხოვნები ჩამოიწერება თუ მათ მიმართ აღარ არსებობს ამოღების მართლზომიერი მოლოდინი.

სხვა მოთხოვნები (გადახდილი ავანსები, წინმსწრებით ანაზღაურებული ხარჯები) აღირიცხება გაცემული კომპენსაციის ღირებულებით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგის შესაფასებლად გამოყენებულია გამარტივებული მეთოდი, არსებული და სამომავლო მაკროეკონომიკური ფაქტორების (მაგალითად, მთლიანი შიდა პროდუქტის, უმუშევრობა და ინფლაციის დონე) გათვალისწინების გარეშე.

2.12 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კონტრაქტის ხელმოწერი მხორე შეასრულებს დათქმულ ვალდებულებებს. მათი ასახვა ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ჯგუფის სავაჭრო კრედიტორული დავალიანება 6 თვემდე ვადის მოკლევადიანი ფინანსური ინსტრუმენტებია.

2.13 ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები.

ფულად სახსრებსა და ფულადი სახსრების ექვივალენტებში იგულისხმება ნაღდი ფული, ბანკში განთავსებული დეპოზიტები მოთხოვნამდე და სხვა მოკლევადიანი მაღალ-ლიკვიდური ინვესტიციები, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა სამი თვე, ან უფრო ნაკლებია. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტებისაგან ფულადი სახსრების ნაკადების ანგარიშგების მიზნებისათვის. ის ნაშთები, რომელთა შეზღუდვაც ხდება, რათა არ მოხდეს მათი გაცვლა, ან ვალდებულების დასაფარავად გამოყენება, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე თორმეტი თვის განმავლობაში აისახება სხვა გრძელვადიან აქტივებში.

2.14 სესხები

სესხები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, ოპერაციის ხარჯების განელების საშუალებით. აღიარების შემდგომ ისინი წარდგენილია ამორტიზებული ღირებულებით. ნებისმიერი სხვაობა ფულად ნაკადებსა და დაფარვის ღირებულებას შორის აღიარდება სესხის მთელი პერიოდის განმავლობაში მოგება-ზარალის პერიოდში.

2.15 საწესდებო კაპიტალი.

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება წესდებით. წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით.

2.16 დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები.

გადასახდელი ხელფასები, წლიური შვებულება და ავადმყოფობის გამო შვებულებით სარგებლობა, პრემიები, და სხვა სარგებელი (საკვები, ბინით უზრუნველყოფა, ტრანსპორტირება, და სხვ.) დაირიცხება იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც მათთან დაკავშირებული მომსახურების მიწოდებას განახორციელებენ კომპანიის დაქირავებული მომუშავეები. კომპანიას არ გააჩნია იურიდიული, ან კონსტრუქციული ვალდებულება განახორციელოს საპენსიო, ან ანალოგიური სარგებლის გადახდა.

2.17 სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ ჯგუფი განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს

ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა. შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისათვის.

2.18 ანარიცხები, პირობითი აქტივები და ვალდებულებები

ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები გაურკვეველი ვადის ან ოდენობის არაფინანსური ვალდებულებებია. მათი დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც ჯგუფს გააჩნია მიმდინარე სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსულში მომხდარი მოვლენების შედეგად და მოსალოდნელია ეკონომიკურ სარგებელში განითვლებული რესურსების გასვლა აღნიშნული ვალდებულების დაფარვისათვის და შესაძლებელია ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას.

2.19 დივიდენდები

დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და იქვითება კაპიტალიდან იმ პერიოდში, როდესაც ხდება მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, რომელიც ცხადდება საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და მანამ, სანამ გაიცემა ნებართვა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოშვებაზე, აღიარებულია საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენების შენიშვნაში.

2.20 დამატებითი ღირებულების გადასახადი

გაყიდვებთან დაკავშირებული ჩასათვლელი დამატებითი ღირებულების გადასახადი გადაეხდება საგადასახადო ორგანოებს უფრო ადრე, ვიდრე ადგილი ექნება შემდეგ მოვლენებს (ა) მომხმარებლებიდან დებიტორული დავალიანების ამოღება, ან (ბ) პროდუქციის, ან მომსახურების მიწოდება მომხმარებლებისათვის. დასაბრუნებელი დღგ ზოგადად ამოღებულია ჩასათვლელი დღგ-ს მიმართ, დღგ-ს ანგარიშფაქტურის მიღების შემდეგ. საგადასახადო ორგანოები დღგ-ს ნეტო საფუძველზე დაფარვის ნებას იძლევიან. რეალიზაციასთან და შესყიდვებთან დაკავშირებული დღგ-ს აღიარება ხდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ნეტო საფუძველზე. როდესაც შექმნილია დებიტორული დავალიანების გაუფასურების ანარიცხი, გაუფასურების ზარალი აღირიცხება დებიტორის მიერ გადასახდელი მთლიანი თანხით, დღგ-ს ჩათვლით.

2.21 ფინანსურ ანგარიშგებაში შესწორების შეტანა მისი წარდგენის შემდეგ.

ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შემდეგ მასში ნებისმიერი ცვლილების შეტანა, საჭიროებს კომპანიის იმ ხელმძღვანელობის მიერ ამ ცვლილებების დამტკიცებას, რომელთაც აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცეს.

2.22 ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები

ქვემოთ წარმოდგენილი შესწორებული სტანდარტები ძალაში შევიდა კომპანიისთვის 2024 წლის 1 იანვრიდან, თუმცა კომპანიაზე მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია:

ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარედ ან გრძელვადიანად - შესწორებები ბასს 1-ში. ფინანსური პირობების (Covenants) მქონე გრძელვადიანი ვალდებულებები შესწორებები ბასს 1-ში. (ძალაშია 2024 წლის 1 იანვრიდან)
ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარედ ან გრძელვადიანად - შესწორებები ბასს 1-ში შევიდა 2020 და 2022 წელს. აღნიშნული შესწორებები განმარტავს, რომ ვალდებულებები კლასიფიცირებულია მიმდინარე ან არამიმდინარე ვალდებულებებად, რაც დამოკიდებულია ანგარიშგების პერიოდის ბოლოს არსებულ უფლებებზე. ვალდებულებები არამიმდინარეა იმ შემთხვევაში, თუ საწარმოს აქვს არსებითი უფლება, ანგარიშგების პერიოდის ბოლოს, გადაავადოს ანგარიშსწორება მინიმუმ თორმეტი თვით. ხელმძღვანელობის მოლოდინები ბალანსის შემდეგ თარიღებში (პირობების შესრულების განთავისუფლებასთან და პირობების დარღვევასთან დაკავშირებით) გავლენას არ ახდენს ვალდებულებების კლასიფიკაციაზე.

ფინანსური პირობები არ ახდენს ვალდებულების ვადიანობის მიხედვით კლასიფიკაციაზე თუ პირობების შესაბამისობის მოთხოვნა დგება ბალანსის შედგენის თარიღის შემდეგ პერიოდში. იმ შემთხვევაში კი როდესაც პირობებთან შესაბამისობა უნდა იყოს უზრუნველყოფილი ბალანსის თარიღისთვის ან უფრო ადრე მაშინ შესაბამისობა ახდენს მიმდინარე და გრძელვადიანი წარდგენის წარდგენის კლასიფიკაციაზე იმის მიუხედავად რომ შესაბამისობის ტესტირება მოხდება მხოლოდ ბალანსის შედგენის შემდეგ.

თუ საწარმო წარადგენს ვალდებულებას გრძელვადიანად და ფინანსური პირობების შესაბამისობა უნდა გაიტესტოს ბალანსის შედგენის შემდეგ 12 თვის პერიოდში მაშინ ცვლილება მოითხოვს ახსნა განმარტების წარდგენას. ახსნა განმარტება უნდა მოიცავდეს:

- ვალდებულების საბალანსო ღირებულებას;
- ფინანსური პირობების დეტალებს;
- ფინანსური პირობებთან შესაბამისობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ სირთულეების ამსახველ

ფაქტებს და გარემოებებს, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ცვლილება ასევე სპეციფიკურად განმარტავს ვალდებულების დაფარვის მცნებას, როდესაც მეორე მხარეს ოპციით აქვს უფლება დაფარვა მოხდეს კომპანიის საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტებით. ცვლილება უნდა იქნას გამოყენებული რეტროსპექტიულად ბასს 8 შესაბამისად. სპეციალური დანერგვის მინიმუმები არსებობს თუ კომპანია აღრე დანერგავს სტანდარტს.

საიჯარო ვალდებულება გაყიდვისა და უკუიჯარის პირობებში - ცვლილება ფასს 16 ში. (ძალაშია 2024 წლის 1 იანვრიდან). 2022 წლის სექტემბერში საბჭომ (IASB) მიიღე ცვლილება ფასს 16 იჯარებში ასახული გაყიდვასა და უკუიჯარის ოპერაციებთან დაკავშირებით. ცვლილება განმარტავს ოპერაციის თაღისათვის ოპერაციის ასახვის დეტალებს. ცვლილების განსაზღვრავ გამყიდველი მოიჯარე მიერ საიჯარო გადახდების განსაზღვრის დეტალებს.

მომწოდებლის ფინანსირების გარიგებები - ცვლილება ბასს 7 და ფასს 7 ში - (ძალაშია 2024 წლის 1 იანვრიდან). საბჭომ (IASB) გამოუშვა ახალი ახსნა განმარტებათა მოთხოვნებთან დაკავშირებული ცვლილება ბასს 7 და ფასს 7. ცვლილების მიზანია დამატებით ინფორმაციის წარდგენა ინვესტორებისათვის მომწოდებელთა ფინანსირების (SFA) გარიგებებთან დაკავშირებით. ახალი ახსნა განმარტებები მოითხოვს ინფორმაციას მომწოდებლების დაფინანსების პირობების შესახებ:

1. იმ ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულება და მათი წარდგენის დეტალები, რომლებიც დაკავშირებულია ან SFA ნაწილია.
2. ფინანსური ვალდებულების ნაწილი რომლებზეც ფინანსურების უზრუნველყოფელმა მოახდინა გადახდა.
3. გადასახადელი თანხების ზღვარი და ვადიანობა რომელიც დაკავშირებულია SFA - სთან, და შესადარისი სავაჭრო ვალდებულება რომელიც ამ გარიგების ნაწილი არ არის.
4. შესაბამისი ფინანსური ვალდებულების ცვლილება, რომელიც დაკავშირებულია არაფულად ოპერაციებთან.
5. SFA წვდომა და ლიკვიდურობის რისკი შესაბამის ფინანსირების უზრუნველყოფებთან.

საბჭო ათავისუფლებს სუბიექტებს შესადარისი ინფორმაციის წარდგენის მოთხოვნისაგან პირველად დანერგვისას, განთავისუფლება ეხება საწყის ნაშთებსაც.

2.23 ახალი ან გადასინჯული სტანდარტების და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის ეფექტური ან წინსწრებით დანერგილი

კომპანიამ ვადამდე არ მიიღო შესწორებები, რომელიც ძალაშია 2024 წლის 31 დეკემბრის შემდეგ და თვლის, რომ ისინი უმნიშვნელო გავლენას მოახდენენ, მიღების შემდეგ, კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ბასს 21-ის ცვლილებები - გაცვლის შეუძლებლობა (ძალაშია 2025 წლის 1 იანვრიდან). 2023 წლის აგვისტოში IASB-მა გააუმჯობესა ბასს 21 და დამატა მოთხოვნები, რომლებიც დაეხმარება სუბიექტებს, განსაზღვრონ, შესაძლებელია თუ არა, ვალუტის სხვა ვალუტაში გაცვლა და რა კურსი უნდა გამოიყენონ გაცვლის შეუძლებლობის შემთხვევაში. ამ ცვლილებამდე ბასს 21 ასახავდა გაცვლითი კურსის გამოყენებას მაშინ, როდესაც გაცვლა ღრობით არ იყო შესაძლებელი, მაგრამ არ განიხილავდა იმ შემთხვევას, როდესაც გაცვლის პრობლემა მუდმივი იყო.

ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციისა და შეფასების ცვლილებები - ცვლილებები ფასს 9 და ფასს 7-ში (ძალაშია 2026 წლის 1 იანვრიდან). 2024 წლის 30 მაისს IASB-მა გამოუშვა ფასს 9-ისა და ფასს 7-ის ფინანსური ინსტრუმენტების მიზნობრივი ცვლილებები, რათა უზასუხოს პრაქტიკაში გაჩენილ ახალ შეკითხვებს და შეიტანოს ახალი მოთხოვნები არა მხოლოდ ფინანსური ინსტიტუტებისთვის, არამედ კორპორაციული საწარმოებისათვის. ამ ცვლილებებში შედის:

- ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აღიარებისა და გაუქმების თარიღების დაზუსტება ახალი გამოწვევისით, რომელიც შეეხება ელექტრონული სისტემის მეშვეობით გადახდილ ზოგიერთ ფინანსურ ვალდებულებას.
- დამატებითი განმარტება იმის შესახებ, თუ როგორ უნდა შეფასდეს, შესაბამემა თუ არა ფინანსური აქტივი ძირისა და პროცენტის კრიტერიუმებს.
- ახალი განმარტებითი შენიშვნების დამატება გარკვეული ინსტრუმენტებისათვის, რომლებიც შეიცავს ისეთ პირობებს, რომლებმაც შეიძლება შეცვალოს ფულადი ნაკადი (მაგალითად: ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებსაც აქვთ გარემოს, სოციალური და მართვის მიზნების მიღწევასთან დაკავშირებული მახასიათებლები).
- განმარტებითი შენიშვნების განახლება აქციების ინსტრუმენტებისათვის, რომლებიც აღიარებულია სამართლიანი ღირებულებით სხვა ყოვლისმომცველ შემოსავალში.

მეორე პუნქტში მოცემული განახლებები მეტწილად შეესაბამება ფინანსურ ინსტიტუციებს, ხოლო დანარჩენ პუნქტებში მოცემული ცვლილებები ყველა საწარმოსათვის რელევანტურია.

ფასს 9-ისა და ფასს-ის ცვლილებები ეფექტური იქნება წლიური ანგარიშგების პერიოდებისათვის და ძალაში შევა 2026 წლის 1 იანვრიდან ან მოგვიანებით.

ფასს 18, პრეზენტაცია და განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებაში (ძალაშია 2027 წლის 1 იანვრიდან). ახალი სტანდარტი ანაცვლებს ბასს 1-ს და ორიენტირებულია მოგება-ზარალის უწყისის განახლებებზე.

ფასს 18-ში წარდგენილი ძირითადი საკითხები ეხება:

- მოგება-ზარალის უწყისის სტრუქტურას

- მოგება-ზარალის უწყისში ხარჯების პრეზენტაციისათვის ყველაზე გამოსადეგი სტრუქტურის განსაზღვრას.
- საჭირო განმარტებით შენიშვნებს ფინანსურ ანგარიშგებაში, რომლებიც შეეხება გარკვეული მოგების ან დანაკარგის შესრულების ზომებს, რომლებიც წარმოდგენილია კორპორაციის ფინანსური ანგარიშგების გარეთ (მენეჯმენტით განსაზღვრული შესრულების ზომები).
- გაფართოებულ პრინციპებს აგრეგაციისა და დისაგრეგაციის შესახებ, რომლებიც ვრცელდება ძირითად ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ფასს 19-დედა კომპანიები საჯარო ანგარიშვალდებულების გარეშე (ძალაშია 2027 წლის 1 იანვრიდან). მოცემული ახალი სტანდარტი მუშაობს ფასს-ის სხვა სტანდარტებთან ერთად. შესაფერისი შვილობილი კომპანია ატარებს ანგარიშგების სტანდარტებში არსებულ ფასს-ის სხვა მოთხოვნებს, განმარტებითი შენიშვნების მოთხოვნების გარდა და იყენებს შემცირებულ განმარტებითი შენიშვნების მოთხოვნებს. ფასს 19 წარმოადგენს ნებაყოფლობით სტანდარტს შესაფერისი შვილობილი კომპანიებისათვის.

შვილობილი კომპანია შესაფერისია თუ

- არ გააჩნია საჯარო ანგარიშვალდებულება.
- ჰყავს ძირითადი ან შუამავალი დედა კომპანია, რომელიც აწარმოებს ფასს-ის სტანდარტების შესაბამის საჯაროდ ხელმისაწვდომ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

3. მნიშვნელოვანი საადრიცხო შეფასებები, და გამოყენებული განსჯა

ჯგუფი ახორციელებს შეფასებებსა და აკეთებს დაშვებებს, რომელიც ზეგავლენას მოახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებსა და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში. შეფასებები და მსჯელობა მუდმივად ფასდება და ემყარება კომპანიის ხელმძღვანელობის გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებს, მათ შორის მომავალში მოსალოდნელ მოვლენებს, რომელთა მოხდენის დაშვებაც გონივრულად არის მიჩნეული არსებული გარემოებების გათვალისწინებით. აღნიშნული შეფასებების გარდა კომპანიის ხელმძღვანელობა ასევე მიმართავს გარკვეულ განსჯას საადრიცხო პოლიტიკის გამოყენების დროს. განსჯის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებები ყველაზე დიდ ზეგავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და შეფასებებზე, რომელთაც შესაძლოა განაპირობონ აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი კორექტირება მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში. ამგვარი გადაწყვეტილებებია:

3.1 ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა განსჯის საგანია, რომელიც უნდა ეყრდნობოდეს ანალოგიურ აქტივებთან მიმართებით არსებულ გამოცდილებას. აქტივებში განივთებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება ხდება უმთავრესად მათი გამოყენების მეშვეობით. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორიცაა აქტივის ტექნიკური, ან კომერციული მოძველება და ცვეთა, ხშირად განაპირობებს აქტივებში განივთებული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას. კომპანიის ხელმძღვანელობა აქტივების დარჩენილი მომსახურების ვადას აფასებს მოცემული აქტივების არსებული ტექნიკური მდგომარეობისა და იმ შეფასებული პერიოდის გათვალისწინებით, რომლის განმავლობაშიც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მიღება კომპანიის მიერ. გაითვალისწინება შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებსა და ტექნიკური მომსახურების პროგრამაზე; და (გ) საბაზრო პირობებით განპირობებული ტექნიკური, ან კომერციული მოძველება.

3.3 გადასახადები. საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. ასევე არსებობს საგადასახადო ორგანოების მიერ სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღების პრაქტიკა. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ კომპანიის ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანიას შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ მათ გადაიხადეს საგადასახადო კანონით მოთხოვნილი გადასახადები და დამატებითი რეზერვების შექმნა ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის საჭირო. საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ კომპანიის ბოლო სამი წლის მონაცემების შემოწმება.

3.4 საქმიანობის უწყვეტობა. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის ხელმძღვანელობას და დამფუძნებლებს სურვილი აქვთ, განავითარონ კომპანია საქართველოში. ხელმძღვანელობისთვის არ არის ცნობილი რაიმე განუსაზღვრელობა, რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას კომპანიის საქმიანობის უწყვეტობას. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია კომპანიისათვის.

4. ძირითადი საშუალებები

	შენიშნა- ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა და ავეჯი	სატრანსპორტო საშუალებები	დაუმთავრებ- ელი მშენებლობა	იჯარით აღებული ქონება	სულ
31 დეკემბერი 2021:							
ისტორიული ღირებულება	5,989,840	6,220,269	253,858	300,533	54,344	-	12,818,844
დაგროვილი ცვეთა	(195,464)	(1,298,925)	(65,581)	(101,597)	-	-	(1,661,567)
ნარჩენი ღირებულება	5,794,376	4,921,344	188,277	198,936	54,344	-	11,157,277
მოძრაობა 2022:							
შეძენა	-	42,254	366,562	257,096	1,301,651	-	1,967,563
გასვლა	-	-	-	(20,000)	(21,800)	-	(41,800)
გასული აქტივების ცვეთა	-	-	-	9,927	-	-	9,927
რეკლასიფიკაცია	216,427	1,038,107	1,378	-	(1,333,800)	77,888	-
ცვეთა	(98,196)	(680,047)	(70,273)	(49,850)	-	(3,677)	(902,043)
ნარჩენი ღირებულება	5,912,607	5,321,658	485,944	396,109	395	74,211	12,190,924
31 დეკემბერი 2022:							
ისტორიული ღირებულება	6,206,267	7,300,630	621,798	537,629	395	77,888	14,744,607
დაგროვილი ცვეთა	(293,660)	(1,978,972)	(135,854)	(141,520)	-	(3,677)	(2,553,683)
ნარჩენი ღირებულება	5,912,607	5,321,658	485,944	396,109	395	74,211	12,190,924
მოძრაობა 2023:							
შეძენა	3,167,750	458,987	390,741	589,712	527,022	41,761	5,175,973
გასვლა	(198,000)	(405,100)	(90)	(17,000)	-	-	(620,190)
გასული აქტივების ცვეთა	27,995	110,883	59	17,000	-	-	155,937
რეკლასიფიკაცია	-	-	-	-	(438,276)	-	(438,276)
ცვეთა	(104,591)	(727,774)	(172,054)	(90,402)	-	(10,161)	(1,104,982)
ნარჩენი ღირებულება	8,805,761	4,758,654	704,600	895,419	89,141	105,811	15,359,386
31 დეკემბერი 2023:							
ისტორიული ღირებულება	9,176,017	7,354,517	1,012,449	1,110,341	89,141	119,649	18,862,114
დაგროვილი ცვეთა	(370,256)	(2,595,863)	(307,849)	(214,922)	-	(13,838)	(3,502,728)
ნარჩენი ღირებულება	8,805,761	4,758,654	704,600	895,419	89,141	105,811	15,359,386
მოძრაობა 2024:							
შეძენა	131,555	311,673	120,214	74,941	139,988	199	778,569
გასვლა	-	(277)	(41,126)	-	-	-	(41,403)
გასული აქტივების ცვეთა	-	277	7,166	15,644	-	-	23,087
რეკლასიფიკაცია	-	-	-	-	(137,816)	-	(137,816)
ცვეთა	(109,135)	(718,929)	(256,586)	(122,468)	-	(12,197)	(1,177,912)
ნარჩენი ღირებულება	8,828,181	4,351,398	534,268	863,536	91,313	93,813	14,803,911
ისტორიული ღირებულება	9,307,572	7,665,913	1,091,537	1,185,282	91,313	119,848	19,461,464
დაგროვილი ცვეთა	(479,391)	(3,314,515)	(557,269)	(321,746)	-	(26,035)	(4,698,956)
ნარჩენი ღირებულება	8,828,181	4,351,398	534,268	863,536	91,313	93,813	14,762,508

ჯგუფის ძირითადი საშუალებების ნაწილი დაგირავებულია სს თიბისი ბანკის სესხების უზრუნველყოფის მიზნით (იხილეთ ახსნა-განმარტებითი შენიშვნა 9 - საბანკო სესხები)

2024 წელს, 634 ათასი ლარის ცვეთა (2023 წელი - 603 ათასი) კაპიტალიზირდა მარაგებზე.

5. არამატერიალური აქტივები

	პროგრამული უზრუნველყოფა	სხვა	სულ
ისტორიული ღირებულება 31.12.2022	44,778	37,970	82,748
დაგროვილი ცვეთა 31.12.2022	(26,070)	(10,108)	(36,178)
ნარჩენი ღირებულება 31.12.2022	18,708	27,862	46,570
შეძენა	-	8,475	8,475
გასვლა	-	-	-
ცვეთა	(8,812)	(6,788)	(15,600)
ნარჩენი ღირებულება 31.12.2023	9,896	29,549	39,445
ისტორიული ღირებულება 31.12.2023	44,778	46,445	91,223
დაგროვილი ცვეთა 31.12.2023	(34,882)	(16,896)	(51,778)
ნარჩენი ღირებულება 31.12.2023	9,896	29,549	39,445
შეძენა	-	183,253	183,253
გასვლა	-	-	-
ცვეთა	(8,812)	(6,044)	(14,857)
ნარჩენი ღირებულება 31.12.2024	1,084	206,757	207,841
ისტორიული ღირებულება 31.12.2024	44,778	229,698	274,476
დაგროვილი ცვეთა 31.12.2024	(43,694)	(22,940)	(66,635)
ნარჩენი ღირებულება 31.12.2024	1,084	206,757	207,841

6. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

	31-დეკ-2024	31-დეკ-2023
სავაჭრო მარაგები	1,812,841	8,398,234
ნედლეული და დამხმარე მასალები	15,641,881	4,633,780
დაუმთავრებელი წარმოება	2,172,272	2,236,231
სხვა მარაგები	685,737	499,492
სულ	20,312,730	15,767,737

7. სავაჭრო დებიტორული დავალიანება და სხვა მოთხოვნები

	31-დეკ-2024	31-დეკ-2023
სავაჭრო დებიტორები	10,904,019	4,812,849
სავაჭრო დებიტორული ნაშთის გაუფასურება	(486,490)	(486,490)
	10,417,529	4,326,359
გადახდილი ავანსები	2,000,697	2,783,073
წინასწარ გადახდილი ხელფასი	-	47,206
საგადასახადო აქტივი	126,247	269,173
სხვა მოთხოვნები	27,410	21,974
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12,571,883	7,447,785

8. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	31-დეკ-2024	31-დეკ-2023
ნაღდი ფული სალაროში	7,660	13,059
ეროვნული ვალუტა ბანკში	2,290,896	1,790,156
უცხოური ვალუტა ბანკში	3,967	944,091
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	2,302,523	2,747,306

9. საბანკო სესხები

	31-დეკ-2024	31-დეკ-2023
გრძელვადიანი საბანკო სესხები	3,776,430	4,445,173
გრძელვადიანი საბანკო სესხის მოკლევადიანი ნაწილი	622,049	658,053
მოკლევადიანი საბანკო სესხები	10,850,064	7,090,803
საბანკო სესხებზე გადასახდელი პროცენტი	-	40,020
სულ საბანკო სესხები	15,248,544	12,234,049

სესხები აღებულია სს თიბისი ბანკში. საბანკო სესხები გამიზნულია საბრუნავი კაპიტალის მოკლევადიანი ფინანსირებისათვის და წლიური საპროცენტო განაკვეთი შემდეგია: ევროში - 4.5%; დოლარში - 7%; ლარში - 4%-ს დამატებული საქ. ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი რეფინანსირების განაკვეთი.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბანკო სესხები არის 1-9 წლამდე ვადიანობის. ქართულ ლარში დენომინირებულ ცვალებად სესხებს აქვთ გადასახდელი წლიური პროცენტის მცოცავი განაკვეთი, რომელიც უთანაბრდება რეფინანსირების განაკვეთს (2023 და 2022 წლის 31 დეკემბრისათვის შეადგენს 9.5 % და 11 %) დამატებული 5.75 %. დოლარში და ევროში დენომინირებულ სესხებს აქვთ მცოცავი განაკვეთი მიზნული Libor-ზე, მათი საპროცენტო განაკვეთებია 6.98%-დან 9.67%-მდე. სესხები უზრუნველყოფილია ძირითადი საშუალებებით, სასაქონლო მარაგებით, სავაჭრო მოთხოვნებით. სესხების უზრუნველყოფაში არსებული აქტივების შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ შესაბამისი აქტივების ახსნა განმარტებითი შენიშვნები.

სესხები ითვალისწინებს გარკვეულ შემზღუდველ პირობებს. მოცემული გულისხმობს გარკვეული ფინანსურ და არაფინანსურ ვალდებულებების დაკმაყოფილებას, მათ შორის ღივიდენდების გაცემასთან დაკავშირებულ შეზღუდვებს. ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში გამსესხებელს წარმოუქმნება უფლება და არა ვალდებულება მოითხოვოს შესაბამისი სესხის სრული ან ნაწილობრივი დაფარვა ვადაზე ადრე. ფინანსური შეზღუდვების დარღვევის შემთხვევაში სესხების ხელშეკრულება მოიცავს შეზღუდვებს ღივიდენდების გადახდასთან დაკავშირებით.

ქვემოთ მოცემულია ბანკის სესხებით სს საქკაბელის ფინანსური ვალდებულებების/შეზღუდვების (ფინანსური კოეფიციენტების) ძირითადი ნაწილი, რომელიც უნდა დაკმაყოფილდეს სს საქკაბელის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების დონეზე, ეს მოთხოვნები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დაკმაყოფილებულია:

კომპანიის წმინდა საბრუნავი კაპიტალი უნდა იყოს მინიმუმ	4,200 ათასი ლარი
საოპერაციო მოგებას (EBITDA) დაკლებული მოგების გადასახადი და კაპიტალური დანახარჯები უნდა იყოს მინიმუმ	2,800 ათასი ლარი
კომპანია ვალდებულია სესხის მიმდინარეობისას უზრუნველყოს ICR კოეფიციენტის შენარჩუნება მინიმუმ	3.0 დონეზე
ჯამურმა სასესხო ვალდებულებებმა არ უნდა შეადგინოს ბოლო 12 თვის საოპერაციო მოგების (EBITDA)	360%-ზე მეტი

საბანკო სესხები უზრუნველყოფილია ჯგუფის მატერიალური აქტივების ნაწილით, რომელთა საბალანსო ღირებულებები, წლების მიხედვით, ნაწილდება შემდეგნაირად (შენიშვნა 4):

	31-დეკ-2024	31-დეკ-2023
მიწა და შენობა-ნაგებობები	8,828,181	8,805,761
მანქანა-დანადგარები	4,270,490	4,666,188
ოფისის აღჭურვილობა და ავეჯი	533,414	703,550
სატრანსპორტო საშუალებები	863,536	895,419
დაუმთავრებელი მშენებლობა	91,313	89,141
სულ	14,586,933	15,160,059

ფულადი ნაკადებისა და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარდგენილი საბანკო სესხების მოძრაობა:

	2024 წელი	2023 წელი
1 იანვარი	12,234,049	6,318,252
ზრდა	53,005,687	45,636,311
საპროცენტო ხარჯი	1,190,824	971,541
პროცენტის გადახდა	(1,062,951)	(958,956)
ძირის გადახდა	(50,268,600)	(39,794,171)
კურსთა-შორის სხვაობის ეფექტი	149,535	61,072
31 დეკემბერი	15,248,544	12,234,049

10. იჯარა

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარდგენილი თანხები:

	31-დეკ-2024	31-დეკ-2023
გამოყენების უფლებით არსებული აქტივები:		
შენობა-ნაგებობები (კომერციული და სასაწყობო)	3,018,279	3,039,149
ავტომობილები	-	-
სულ აქტივები	3,018,279	3,039,149
საიჯარო ვალდებულებები:		
მიმდინარე	489,662	439,600
გრძელვადიანი	2,796,884	2,768,326
სულ ვალდებულებები	3,286,546	3,207,926

სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარდგენილი ხარჯები:

	2024 წელი	2023 წელი
გამოყენების უფლებით არსებული აქტივების ცვეთა:		
შენობა-ნაგებობები (კომერციული და სასაწყობო)	548,665	510,983
ავტომობილები	-	-
სულ ცვეთა	548,665	510,983
საპროცენტო ხარჯი	236,649	231,868
სულ იჯარასთან დაკავშირებული ხარჯები	785,314	742,851

ფულადი ნაკადებისა და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარდგენილი იჯარის ვალდებულებების მოძრაობა:

	2024 წელი	2023 წელი
1 იანვარი	3,207,926	3,398,931
ზრდა	572,115	152,058
გასვლა	(20,980)	(20,870)
საპროცენტო ხარჯი	236,649	231,868
პროცენტის გადახდა	(236,649)	(231,868)
ძირის გადახდა	(486,610)	(401,936)
კურსთა-შორის სხვაობის ეფექტი	14,096	79,743
31 დეკემბერი	3,286,546	3,207,926

მოკლევადიან იჯარებთან და დაბალი ღირებულების აქტივების იჯარებთან დაკავშირებული ხარჯები, რომლებიც არ არის ასახული იჯარებად, შეტანილია ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები:

	2024 წელი	2023 წელი
საიჯარო ქირა	75,796	44,714
მოკლევადიანი და დაბალი ღირებულების იჯარის ხარჯი	75,796	44,714

იჯარის ხელშეკრულებები არ გულისხმობს რაიმე სახის პირობებს (კოვენანტებს) საკუთრების უფლებების დაცვის გარდა საიჯარო აქტივებში, რომელსაც ფლობს მეიჯარე. საიჯარო აქტივები არ შეიძლება გამოყენებული იქნას უზრუნველყოფად სესხებზე.

11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31-დეკ-2024	31-დეკ-2023
სავაჭრო კრედიტორები	6,651,213	7,162,907
მიღებული ავანსები	3,117,690	4,072,547
ვალდებულებები პერსონალის წინაშე	11,748	394,288
სხვა ვალდებულებები	3,363,491	3,675,090
სულ ვალდებულებები	13,144,142	15,304,832

12. გაყიდვების თვითღირებულება

	2024 წელი	2023 წელი
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	81,399,195	59,209,747
გაყიდვების და მიწოდების ხარჯები	2,150,985	1,600,414
მიწოდების სხვა ხარჯები	216,388	131,626
სულ გაყიდვების თვითღირებულება	83,766,568	60,941,787

13. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

	2024 წელი	2023 წელი
საოფისე ხარჯები და კომუნალური გადასახადები	805,584	644,160
შრომითი სარგებელი	7,422,875	6,641,613
საიჯარო ქირა	75,796	44,714
რემონტისა და მოვლა-შენახვის ხარჯები	296,029	223,461
სადაზღვევო ხარჯები	52,290	41,772
საკონსულტაციო და პროფესიული მომსახურების ხარჯები	239,989	204,198
ცვთა და ამორტიზაცია	1,118,643	1,009,158
საგადასახადო ხარჯები	995,577	318,197
სხვა ხარჯები	14,596	13,222
სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	11,021,380	9,140,495

14. სხვა ხარჯები

	2024 წელი	2023 წელი
წარმომადგენლობითი ხარჯი	162,151	164,403
შრომის უსაფრთხოების ხარჯი	52,695	39,223
საბანკო მომსახურების ხარჯი	141,510	113,440
სავაჭრო დებიტორული ნაშთის გაუფასურება	-	59,411
რეკლამის ხარჯი	532,488	526,779
ჯარიმის ხარჯი	1,220	92,074
საქველმოქმედო ხარჯი	-	82,222
საწარმოო რესურსების მოცდენის ხარჯი	-	42,265
უმოდრაო ავანსების ჩამოწერა	436,954	88,366
სხვა ხარჯები	327,463	230,041
სულ სხვა ხარჯები	1,654,481	1,438,224

15. ფინანსური შემოსავალი (ხარჯი)

	2024 წელი	2023 წელი
საპროცენტო ხარჯი	(1,529,657)	(1,122,817)
საპროცენტო შემოსავალი	111,492	237,119
გაცვლითი კურსის ცვლილებით მიღებული შემოსავალი (ხარჯი)	(826,152)	(524,515)
სულ ფინანსური შემოსავალი (ხარჯი)	(2,244,317)	(1,410,213)

16. ფინანსური რისკის მართვა

ჯგუფში რისკების მართვა ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და სამართლებრივ რისკებთან დაკავშირებით. ფინანსური რისკის მართვის ძირითადი ამოცანებია რისკის შეზღუდვების დადგენა და შემდგომ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკის ფაქტორისადმი დაქვემდებარება ამ შეზღუდვებს არ გასცდეს. საოპერაციო და სამართლებრივი რისკის ფაქტორების მართვის ფუნქციები განკუთვნილია შიდა პოლიტიკის და პროცედურების სათანადოდ ფუნქციონირების მიზნით, საოპერაციო და სამართლებრივი რისკების შესამცირებლად.

ფინანსური რისკი

ჯგუფი დგას ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან წარმოქმნილი რისკების წინაშე. ეს განმარტებითი შენიშვნა აღწერს ჯგუფის მიზნებს, პოლიტიკებსა და პროცედურებს რისკების მართვისათვის და რისკების შეფასების მეთოდებს. ამ რისკებთან დაკავშირებული დამატებითი რაოდენობრივი ინფორმაცია წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში.

ჯგუფის ოპერაციებისთვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია:

- საბაზრო რისკი
 - o საპროცენტო რისკი
 - o უცხოური ვალუტის რისკი
- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

ჯგუფის ხელმძღვანელობას გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა ჯგუფის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე, პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება ჯგუფის ფინანსური მხარისთვის. ჯგუფის ხელმძღვანელობა ღებულობს ყოველთვიურ ანგარიშგებას ჯგუფის ფინანსური მხარისგან, მიმოიხილავს თავიანთი დასახული მიზნებისა და პოლიტიკის შესრულებისათვის განხორციელებული პროცესების ეფექტურობას.

ჯგუფის ხელმძღვანელობის მთავარი მიზანი არის, დაიცვას ჯგუფი რისკის მიუღებელი დონისაგან და საშუალება მისცეს მას მიაღწიოს საქმიანობის მიზანს. აღნიშნულ პოლიტიკასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ.

ფინანსური ინსტრუმენტების წარდგენა კატეგორიების მიხედვით

ჯგუფის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს, ასევე საიჯარო ვალდებულებებს. ამ ფინანსური ინსტრუმენტების მთავარი მიზანია ჯგუფის ფინანსური უზრუნველყოფა. ჯგუფის გააჩნია ისეთი ფინანსური აქტივები, როგორიცაა სავაჭრო და სხვა მოთხოვნები და ფული და ფულის ეკვივალენტები.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31-დეკ-2024	31-დეკ-2023
ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული აქტივები		
- საბანკო ნაშთები მოთხოვნამდე	2,302,523	2,747,306
- სავაჭრო დებიტორული დავალიანება	10,417,529	9,040,853
სულ ფინანსური აქტივები	12,720,052	11,788,159
ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული ვალდებულებები		
- სავაჭრო კრედიტორული დავალიანება	6,651,213	7,162,907
- საიჯარო ვალდებულებები	3,286,546	3,207,926
- ნასესხები საშუალებები	15,248,544	12,234,049
სულ ფინანსური ვალდებულებები	25,186,303	22,604,882

წარდგენილი ფინანსური აქტივები და ვალდებულებები შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით.

ჯგუფის ხელმძღვანელობის შეფასებით ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები არ განსხვავდება მათი რეალური ღირებულებებისგან. ფულისა და ფულის ეკვივალენტების

რეალური ღირებულება განსაზღვრულია 1-ლი დონის, ხოლო დანარჩენი ფინანსური აქტივების და ვალდებულებების რეალური ღირებულებები მე-3 დონის მიხედვით.

კაპიტალის მართვის მიდგომა

ჯგუფი თავის კაპიტალთან დაკავშირებულ რისკს მართავს იმისათვის, რომ უზრუნველყოს ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენა და ამავდროულად დაინტერესებული მხარეების უკუგების მაქსიმიზაცია, მოზიდული და საკუთარი კაპიტალის ოპტიმალური ბალანსის დაცვის გზით. ჯგუფის ხელმძღვანელობა რეგულარულად მიმოიხილავს კაპიტალის სტრუქტურას. ასეთი განხილვების ფარგლებში, ჯგუფის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ჯგუფი აბალანსებს მთლიანი კაპიტალის სტრუქტურას კაპიტალის ზრდით, დივიდენდების განაწილებით და ა.შ.

ჯგუფმა შეიმუშავა კაპიტალის მართვის შემდეგი მიზნები, პოლიტიკა და მიდგომები იმისთვის, რათა მართოს ის რისკები, რომლებიც კაპიტალის პოზიციაზე ახდენს გავლენას.

კაპიტალის მართვის მიზნებია:

- ჯგუფმა შეინარჩუნოს სტაბილურობის მოთხოვნილი დონე, შედეგად, უზრუნველყოს მომხმარებლების დაცულობა;
- გაანაწილოს კაპიტალი ეფექტურად და დაეხმაროს ბიზნესს განვითარებაში, რათა უკუგებამ კაპიტალზე დააკმაყოფილოს მფლობელთა მოთხოვნები;
- შეინარჩუნოს ფინანსური მოქნილობა ლიკვიდურობის შენარჩუნებისა და კაპიტალის სხვადასხვა ბაზარზე წვდომისთვის;

ჯგუფი რისკის პროპორციულად აწესებს საჭირო კაპიტალის ოდენობას. ჯგუფი მართავს საკუთარი კაპიტალის სტრუქტურას და ახდენს მის კორექტირებას ეკონომიკური გარემოებებისა და აქტივების რისკიანობის შესაბამისად.

იმისათვის, რომ შეინარჩუნოს ან დააკორექტიროს კაპიტალის სტრუქტურა, ჯგუფმა შეიძლება დააკორექტიროს მფლობელებისათვის გადახდილი დივიდენდები, დაუბრუნოს კაპიტალი მფლობელებს, გაყიდოს აქტივები ვალის დაფარვის მიზნით და ა.შ.

სს „საქკაბელი“ ექვემდებარება ადებულ სესხების ხელშეკრულებების მიხედვით კაპიტალისა და სხვა ფინანსური ელემენტების ზღვრული კოეფიციენტების სახით დაწესებულ გარე მოთხოვნებს. ამ მოთხოვნების დეტალების დეტალები მოცემულია ახსნა განმარტებით შენიშვნა 9-ში.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ცვლილების რისკი, საბაზრო პირობების ცვლილების შედეგად.

ზოგადად, საბაზრო რისკები წარმოიქმნება ღია პოზიციების გამო: ა) უცხოურ ვალუტებში, ბ) პროცენტიან აქტივებსა და ვალდებულებებში, და გ) სააქციო კაპიტალის პროდუქტების მხრივ, რომელთაგან ყველა ექვემდებარება ზოგად და სპეციფიკურ საბაზრო ცვლილებებს. ხელმძღვანელობა განსაზღვრავს მისაღები რისკის მოცულობის შეზღუდვებს, რომლის მონიტორინგიც ხდება ყოველდღიურად. თუმცა, ამ მიდგომის გამოყენებით თავიდან არ იქნება აცილებული ის დანაკარგები, რომელიც ამ შეზღუდვების მიღმა იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ექნება უფრო მნიშვნელოვან საბაზრო ცვლილებებს.

საპროცენტო რისკი არის რისკი (ცვლადი ღირებულებით), რომელიც დაკავშირებულია პროცენტის მატარებელ აქტივებთან/ვალდებულებებთან - სესხებთან, მათი ცვლადი განაკვეთიდან გამომდინარე. ჯგუფის მიმდინარე პერიოდში არ გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე სესხი.

სავალუტო რისკი არის უცხოური ვალუტის ცვლილების შედეგად ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების ცვლილების რისკი. სავალუტო რისკის წინაშე შეიძლება იდგეს ჯგუფის ფინანსური მდგომარეობა და ფულადი სახსრების მოძრაობა. ჯგუფის გააჩნია უცხოურ ვალუტაში განხორციელებული გარკვეული ოპერაციები. ჯგუფი, სავალუტო რისკის მართვისთვის, არ იყენებს წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს.

სავალუტო რისკთან დაკავშირებით, ხელმძღვანელობა განსაზღვრავს ამ რისკისადმი დაქვემდებარების შეზღუდვებს ვალუტის მიხედვით და მთლიანად. ამ მხრივ მდგომარეობის მონიტორინგი ხორციელდება ყოველთვიურად. ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია ჯგუფის უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის რისკები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს:

	31-დეკ-2024		31-დეკ-2023	
	აშშ დოლარი	ევრო	აშშ დოლარი	ევრო
ფინანსური აქტივები:				
წმინდა სავაჭრო მოთხოვნები	622,459	588	358,429	-
ფული და ფულის ექვივალენტები	3,107	241	890,445	47,107
სულ ფინანსური აქტივები	625,566	830	1,248,874	47,107
ფინანსური ვალდებულებები:				
სავაჭრო კრედიტორები	3,381,280	664,212	1,908,408	827,883
საიჯარო ვალდებულებები	105,669	2,902,269	105,669	2,902,269
სესხები	6,934,340	4,128,628	6,019,964	3,661,253

სულ ფინანსური ვალდებულებები	31-დეკ-2024		31-დეკ-2023	
	აშშ დოლარი	ევრო	აშშ დოლარი	ევრო
	10,421,289	7,695,110	8,034,041	7,391,405
წმინდა სავალუტო პოზიცია	(9,795,723)	(7,694,280)	(6,785,167)	(7,344,298)

ზემოთ მოცემული ანალიზი მოიცავს მხოლოდ ფულად აქტივებსა და ვალდებულებებს. მიიჩნევენ, რომ ინვესტიციები საკუთარ კაპიტალსა და არაფულად აქტივებში არ წარმოშობს რაიმე მატერიალურ სავალუტო რისკს.

შემდეგ ცხრილში წარმოდგენილია მოგებისა და ზარალის და საკუთარი კაპიტალის მგრძნობელობა სავალუტო განაკვეთებში გონივრულად შესაძლო ცვლილების მიმართ, რომელიც გამოიყენება საანგარიშგებო პერიოდის დასასრულს, კომპანიის შესაბამისი საწარმოს ფუნქციონალური ვალუტის მიმართ. ყველა სხვა ცვლადი უცვლელია:

	31-დეკ-2024		31-დეკ-2023	
	გავლენა მოგება-ზარალზე	გავლენა კაპიტალზე	გავლენა, მოგება-ზარალზე	გავლენა კაპიტალზე
აშშ დოლარის გამყარება 10%-ით	979,572	-	678,517	-
აშშ დოლარის დასუსტება 10%-ით	(979,572)	-	(678,517)	-
ევროს გამყარება 10%-ით	769,428	-	734,430	-
ევროს დასუსტება 10%-ით	(769,428)	-	(734,430)	-

ამ რისკის ფაქტორისადმი დაქვემდებარება გაანგარიშებულ იქნა მხოლოდ ფულადი ნაშთებისთვის იმ ვალუტებში, რომლებიც ჯგუფის შესაბამისი საწარმოს ვალუტას არ წარმოადგენს.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი. ეს არის რისკი, როდესაც ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე ვალდებულების შეუსრულებლობის შედეგად გამოიწვევს მეორე მხარის ფინანსურ ზარალს. ამგვარი საკრედიტო რისკი წარმოიქმნება ჯგუფის მიერ მომხმარებელთათვის პროდუქციის კრედიტით მიყიდვისას (აგრეთვე, სხვა ოპერაციების შემთხვევაში, რომელთა შედეგადაც წარმოიქმნება ფინანსური აქტივები).

ჯგუფის მაქსიმალური საკრედიტო რისკი აქტივების ჯგუფების მიხედვით:

	31-დეკ-2024	31-დეკ-2023
დებიტორული დავალიანება		
სავაჭრო დებიტორული დავალიანება (7)	10,417,529	9,040,853
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები		
საბანკო ნაშთები (8)	2,302,523	2,747,306
საკრედიტო რისკის მაქსიმუმი	12,720,052	11,788,159

აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთ-გამოქცევის ზეგავლენა პოტენციური საკრედიტო რისკის ფაქტორისადმი დაქვემდებარების შემცირების მიზნით, უმნიშვნელოა.

ფინანსური რისკის მართვის პოლიტიკის დეტალები ფინანსური აქტივების მიხედვით მოცემულია ქვემოთ:

საბანკო ნაშთები მოთხოვნამდე - საბანკო ანგარიშებზე განთავსებული თანხების საკრედიტო რისკები იმართება მათი ისეთ საბანკო დაწესებულებაში განთავსებით რომლებიც ზოგადად კარგად ცნობილია საქართველოში. ბანკების სტატუსი მონიტორინგი უტარდება რეგულარულად. კომპანიის შეფასებით საბანკო ანგარიშებთან დაკავშირებული საკრედიტო ზარალი ნოლის ტოლია ყველა საანგარიშგებო თარიღისათვის და არც ერთი მათგანი არ არის ვალაგადაცილებული.

სავაჭრო-დებიტორული დავალიანება - მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაანგარიშების მიზნით გამოყენებულია ფასს 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“ სტანდარტით განსაზღვრული გამარტივებული მიდგომა. სავაჭრო დებიტორებისათვის საკრედიტო ზარალის გაანგარიშება ხდება ინსტრუმენტის არსებობის მთელ პერიოდზე. მოსალოდნელი ზარალი შეფასებულია ინდივიდუალურად, თითოეული კონტრაგენტისათვის და ეყრდნობა საკრედიტო ზარალის, გაყიდვებისა და გადახდების ისტორიულ მონაცემებს.

ლიკვიდრობის რისკი

ლიკვიდრობის რისკი წარმოიქმნება ჯგუფის მიერ თავისი საბრუნავი კაპიტალისა და ძირითადი ვალდებულებების დაფარვის მართვასთან დაკავშირებით. რისკი მდგომარეობს იმაში, რომ ჯგუფი შეიძლება წააწყდეს სირთულეებს ვალდებულებების დაფარვისას მათი გადახდის ვადის დადგომის პერიოდში. ჯგუფი ახდენს ამ ტიპის რისკების კონტროლს ვალიანობის ანალიზის მიხედვით და განსაზღვრავს ჯგუფის სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისთვის.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრისათვის არსებული ვალდებულებები, გადახდის დარჩენილი ვადების მიხედვით. დაფარვის ვადების ცხრილში მოცემული თანხები არის კონტრაქტით გათვალისწინებული

ფულადი სახსრების ნაკადები დისკონტის გარეშე. ამგვარი ფულადი სახსრების ნაკადები განსხვავდება ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ფინანსური ვალდებულებების ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული ნაშთებისგან.

სხვა ვალუტაში გადახდები გამოთვლილია საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული გაცვლითი კრუსის მიხედვით.

ფინანსური ვალდებულებების გადახდის ვადების ანალიზი შემდეგია:

	სესხები	საიჯარო ვალდებულებები	სავაჭრო ვალდებულებები	სულ
31-დეკ-2024				
მოთხოვნამდე და 12 თვეზე ნაკლები	1,167,353	700,040	11,443,844	13,311,238
12_დან 2 წლამდე	1,683,504	1,727,763	-	3,411,268
2_დან 5 წლამდე	2,934,830	643,739	-	3,578,569
5 წელზე მეტი	418,776	1,640,639	-	2,059,416
სულ	6,204,464	4,712,181	11,443,844	22,360,490
31-დეკ-2023				
მოთხოვნამდე და 12 თვეზე ნაკლები	12,306,461	651,977	7,162,907	20,121,345
12_დან 2 წლამდე	2,293,354	1,478,085	-	3,771,439
2_დან 5 წლამდე	1,876,451	653,557	-	2,530,008
5 წელზე მეტი	2,184,760	1,665,664	-	3,850,424
სულ	18,661,025	4,449,284	7,162,907	30,273,216

17. გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები

სამართლებრივი პროცედურები. პერიოდულად, საქმიანობის ჩვეულებრივი წარმოებისას, კომპანიის წინააღმდეგ შესაძლოა შეტანილ იქნეს სარჩელები. საკუთარი შეფასებებებსა და როგორც შიდა, ასევე გარე პროფესიულ რჩევაზე დაყრდნობით, ხელმძღვანელობის მოსაზრებაა, რომ მნიშვნელოვანი ზარალი არ მიაღებდა კომპანიას სარჩელების გამო და ამდენად, წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის წარმოდგენილი შესაბამისი ანარიცხები.

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა იძლევა სხვადასხვა ინტერპრეტაციის შესაძლებლობას და მასში ხშირად ხდება ცვლილებების შეტანა. კომპანიის მიერ განხორციელებულ ოპერაციებთან და საქმიანობასთან მიმართებით ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებულ კანონმდებლობის ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით შესაძლოა შეკითხვები გაუჩნდეთ შესაბამის უფლებამოსილ ორგანოებს. საქართველოს საგადასახადო ორგანოები შესაძლოა უფრო დამაჯერებელ და დახვეწილ მიდგომას იყენებენ კანონმდებლობის ინტერპრეტაციისას და საგადასახადო შემოწმებების დროს. ასევე შესაძლებელია, რომ იმ ოპერაციებისა და საქმიანობების მიმართ, რომელთა მიმართაც ადრე არ ჰქონიათ შეკითხვები, ახლა გაჩნდეს შეკითხვები. შედეგად, შესაძლოა განისაზღვროს დამატებითი გადასახადები, საურავები და საპროცენტო განაკვეთები.

გარემოსდაცვითი საკითხები. საქართველოში გარემოსდაცვითი საკითხების მარეგულირებელი კანონების განხორციელება ვითარდება და მუდმივად ხდება სახელმწიფო ორგანოების პოზიციის გადასინჯვა ამ ასპექტით. კომპანია პერიოდულად ახორციელებს მისი ვალდებულებების, რომლებიც გათვალისწინებულია გარემოსდაცვითი მარეგულირებელი წესებით, შეფასებას. ვალდებულებების დადგენისთანავე, დაუყოვნებლივ ხდება მათი აღიარება. პოტენციური ვალდებულებები, რომელიც შესაძლოა წარმოიშვას არსებული მარეგულირებელი წესების, სამოქალაქო დავების ან კანონმდებლობის შედეგად, შეუძლებელია შეფასდეს, მაგრამ ისინი შესაძლოა მნიშვნელოვანი იყოს. მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში, აღსრულების გარემოს გათვალისწინებით, ხელმძღვანელობას მიჩნია, რომ არ არსებობს მნიშვნელოვანი ვალდებულებები გარემოსადმი მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად.

18. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

როგორც წესი, მხარეები დაკავშირებულ მხარეებად მიიჩნევა, თუ მხარეები საერთო კონტროლის ქვეშ არიან, ან თუ ერთ მხარეს გააჩნია მეორე მხარის კონტროლის, ან მასზე მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენის შესაძლებლობა, ან თუ არსებობს მესამე მხარეზე ერთობლივი კონტროლი ფინანსური და საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღების დროს. თითოეული შესაძლო დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის შინაარსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას.

კომპანიის მფლობელია საქართველოს სახელმწიფო. სხვა სახელმწიფო კომპანიები და სამთავრობო დაწესებულებები კომპანიისთვის დაკავშირებული მხარეები არიან. კომპანია იყენებს ბასს 24-ის 25-ე პარაგრაფით განსაზღვრულ შედავათს არ წარადგენს დაკავშირებულ მხარეებთან სახელმწიფო კომპანიებთან და სხვა სახელმწიფო სტრუქტურებთან ტრანზაქციებს და ბალანსებს.

კომპანიას დაკავშირებულ მხარეებთან ქონდა შემდეგი ოპერაციები და ნაშთები:

ოპერაციები - 2024 წელი	დამფუძნებლები	ხელმძღვანელობა	სხვა	სულ
------------------------	---------------	----------------	------	-----

ხელფასები და პრემიები	2,850,123	2,140,885	-	4,991,008
რეალიზაცია და მომსახურების გაწევა	14,273	13,940	1,258,767	1,286,980
გარანტიის ხარჯი	-	-	209,721	209,721
საქონლის და მომსახურების შესყიდვა	9,546	3,634	1,738,545	1,751,725
დივიდენდის გაცემა	1,665,040	-	-	1,665,040
სამივლინებო ხარჯი	8,803	3,905	-	12,708

ოპერაციები - 2023 წელი	დამფუძნებლები	ხელმძღვანელობა	სხვა	სულ
ხელფასები და პრემიები	3,181,419	1,522,898	-	4,704,317
რეალიზაცია და მომსახურების გაწევა	5,511	9,881	1,830,155	1,845,547
გარანტიის ხარჯი	-	-	38,791	38,791
საქონლის და მომსახურების შესყიდვა	6,269	11,134	664,534	681,937
სამივლინებო ხარჯი	25,766	13,127	-	38,893

ნაშთები	დამფუძნებლები	ხელმძღვანელობა	სხვა	სულ
31.12.2024 :				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	17,959	21,751	177,259	216,969
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	-	1,404,414	(1,404,414)
31.12.2023 :				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	37,543	4,907	282,757	325,207
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	-	3,661,069	3,661,069

19. ბალანსის შედგენის თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ფინანსური ანგარიშგების წარსადგენად დამტკიცება. ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულია ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 30 სექტემბერს. ხელმძღვანელობას უფლება აქვს, შეცვალოს ფინანსური ანგარიშგება გამოშვების შემდეგ.

[ფინანსური ანგარიშგების დასასრული]

სააქციო საზოგადოება „საქკაბელი“
მმართველობის ანგარიში

სს „საქკაბელი“

1.საქმიანობის ზოგადი მიმოხილვა	iii
2. განვითარების გეგმა	v
3. ბაზრის კვლევა	vi
4. ფილიალები	vi
5. ზოგადი გარემო და გარეფაქტორების ზემოქმედება კომპანიის ოპერაციებზე	vii
6. წარმატების კრიტიკული ფაქტორები	vii
7.რისკ ფაქტორების მიმოხილვა	ix
8. საკუთარი აქციები	xii
9. წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებით განმარტებები	xii

სააქციო საზოგადოება საქკაბელი, საქართველოში საკაბელო პროდუქციის ყველაზე დიდი მწარმოებელია. ქარხანა დაარსდა 1958 წელს და მის ძირითად ფუნქციას წარმოადგენს სპილენძისა და ალუმინის საკაბელო პროდუქციის წარმოება, როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ბაზრისთვის.

ამჟამინდელმა სამეთვალყურეო საბჭომ, კომპანია შეიძინა 2006 წელს და მოახდინა ქარხნის გადაიარაღება. 2012 წელს, სს საქკაბელმა, წარმატებით გაიარა რა სერტიფიკაცია, დაადასტურა ხარისხის მენეჯმენტის ეფექტურობა და ხარისხის გაუმჯობესებაზე სისტემური ზრუნვა. კომპანიას გერმანული სერტიფიცირების ორგანოს TUV SUD-საგან მიენიჭა ISO 9001:2008 სტანდარტის შესაბამისობის სერტიფიკატი. წარმოებულ პროდუქციას ასევე გააჩნია ISO 45001 ისა და CPR სტანდარტთან შესაბამისობის ხარისხის სერტიფიკატები.

საქკაბელის პროდუქცია, მომხმარებელთან გაგზავნამდე გადის დეტალურ შემოწმებას ქარხნაში მოქმედ, ხარისხის კონტროლის აკრედიტირებულ ლაბორატორიაში. ამჟამად საქკაბელი აწარმოებს 70 ტიპის 2000-მდე დასახელების პროდუქტს.

კომპანიას მიეცა საშუალება აეთვისებინა საქართველოში კაბელის სამომხმარებლო ბაზრის მნიშვნელოვანი ნაწილი, კერძოდ 25%. საქკაბელის პროდუქციის ძირითადი მომხმარებლებს წარმოადგენს საქართველოში არსებული უცხოური და ადგილობრივი ენერგო საწარმოები, მუნიციპალური დაქვემდებარების დაწესებულებები და საამშენებლო ორგანიზაციები.



სს საქკაბელის ჯგუფის სტრუქტურაში შედის ორი შვილობილი კომპანია, შპს ევრომონტაჟი და შპს კაბლიანსი. შპს ევრომონტაჟის 51% წილს ფლობს სს საქკაბელი ხოლო დანარჩენ 49% შპს მონტაჟკორჯია. შპს ევრომონტაჟის ძირითადი საქმიანობა წარმოადგენს გოფრირებული მილების წარმოებასა და რეალიზაციას, აგრეთვე კომპანიის ძირითად შემოსავალს მიეკუთვნება ელექტრო სამონტაჟო სამუშაოების სერვისის მიწოდება. კომპანია რეგისტრირებულია 2013 წელს 4 დეკემბერს.

შპს კაბლიანსი 50% -იან წილს ფლობს სს საქკაბელი, ხოლო 25%-25% - ს ფუად ბალაბაბა ოდლუ რზაიევ და პაატა ჟდენტი. შპს კაბლიანსი ახორციელებს საშუალო და მაღალი ძაბვის ელ. კაბელების იმპორტს საქართველოში და შემდეგ ეწევა მის რეალიზაციას. 2022 წლის 25 თებერვალს, შპს კაბლიანსმა მოიპოვა „GOKNUR-BAKI LLC“-სგან საკაბელო პროდუქციის საქართველოში იმპორტისა და ადგილობრივი რეალიზაციის ექსკლუზიური უფლება. ამავე წლის 05 მაისს, საქპატენტში დარეგისტრირებულ იქნა სავაჭრო ნიშნის გამოყენების უფლება. კომპანია რეგისტრირებულია 2022 წლის 16 თებერვალს.

კონკურენცია

კონკურენციის დონე ელექტროსაკაბელო პროდუქციის ქართულ ბაზარზე საკმაოდ მაღალია. სს საქკაბელის კონკურენტებს წარმოადგენენ როგორც ადგილობრივი კომპანიები, რომლებიც აწარმოებენ ქართულ საკაბელო პროდუქციას ასევე მრავალი მცირე თუ საშუალო ბიზნესი, რომელიც ახორციელებს უცხოური წარმოების საკაბელო პროდუქციის იმპორტსა და რეალიზაციას.

სს საქკაბელს გააჩნია ამ სფეროში მრავალწლიანი გამოცდილება რაც გამოიხატება პროდუქციის უმაღლეს ხარისხში და საწარმოო პროცესების ეფექტურობაში. შედეგად კი კომპანიის მომგებიანობა დღემდე მზარდ ტემპს ინარჩუნებს. ამავდროულად კი მენეჯმენტი ისახავს მთელ რიგ სტრატეგიული განვითარების გეგმებს.

კონკურენციის დონე მაღალია აგრეთვე კომპანიის შვილობილი შპს ევრომონტაჟის სამონტაჟო სამუშაოების მიწოდების სერვისის ინდუსტრიაშიც.

შპს ევრომონტაჟის კონკურენტს წარმოადგენს ნებისმიერი ელექტრო სამონტაჟო სამუშაოების სერვისების პროვაიდერი კომპანია. მიუხედავად ამისა 2019-2022 წლებში კომპანიას აქვს განხორციელებული რიგი მამტაბური პროექტების და სტაბილურად ინარჩუნებს თავის საქმიანობის მზარდ ტემპებს.

კომპანიის მიზანი

კომპანიის ძირითადი მიზანი და სტრატეგია წარმოადგენს მაღალი ხარისხის სტანდარტების პროდუქციის წარმოებას, ასორტიმენტის ზრდას, ხარისხიანი და კონკურენტუნარიანი სერვისის მიწოდებას ,რომლის ფონზეც გაიზრდება კომპანიის რეალიზაცია და საბაზრო წილი.

2. განვითარების გეგმა

სს საქკაბელი გეგმავს გაზარდოს დანადგარების წარმადობა, კიდევ უფრო მეტად მოახდინოს საწარმოო და ბიზნეს პროცესების ოპტიმიზაცია და მონიტორინგი, რაც შესაძლებელს გახდის ბაზრის წილის გაზრდას.

- კომპანიის ტოპ მენეჯმენტი ისევე როგორც დამფუძნებლები აქტიურად არიან ჩართულები კომპანიის ზრდა-განვითარების პროცესში აქტიურად აწარმოებენ კომუნიკაციებს უცხოელ პარტნიორებთან რაც მოიცავს მათი გამოცდილების გაზიარებას და მიზნად ისახავს სს საქკაბელის, შპს ევრომონტაჟისა და შპს კაბლიანსის, როგორც წარმოების ასევე ბიზნეს პროცესების ოპტიმიზაციას, ხარისხის გაუმჯობესებას, ხარჯების მინიმიზაციასა და წარმოების მოცულობის ზრდას.
- კომპანია ასევე მიზნად ისახავს ხარისხის ყველა საჭირო სერტიფიკატის მოპოვებას რათა კომპანიის პროდუქცია ხელმისაწვდომი გახდეს უფრო ფართო საერთაშორისო ბაზარზე.

3. ბაზრის კვლევა

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურიდან მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, 2017 წელს დაბალი ძაბვის საკაბელო პროდუქციის იმპორტი 2016 წელთან შედარებით 30 %-ით არის გაზრდილი , რაც მიუთითებს ქართული საკაბელო ბაზრის ზრდაზე. ისევე როგორც 2016-2017 წლებში , ასევე 2018 წელს იმპორტიორ ქვეყნებს შორის მოწინავე ადგილი უკავია თურქეთის სახელმწიფოს , თუმცა 2017 წელს საქართველოს ბაზრის წილი 3 %-ით შეუმცირდა, რამაც ქართულ საწარმოებს საშუალება მოგვცა გაგვეზარდა ჩვენი კუთვნილი წილი საქართველოს საკაბელო ბაზარზე. სს საქკაბელი 2017 წელთან შედარებით 114%-ით გაიზარდა . მმართველი გუნდი აქტიურად მუშაობს , რომ მომდევნო წლებში გახადოს კომპანია მზარდი, როგორც ქართულ, ასევე უცხოურ ბაზარზე . მომდევნო წლებშიც იზრდება საკაბელო პროდუქციის იმპორტი და სამშენებლო ბაზარიც ფართოვდება რაც მიუთითებს საკაბელო ბაზრის მზარდი ტემპის შენარჩუნებაზე. 2024 წელს კომპანიამ შეიმუშავა არაერთი პოლიტიკა ფასების კონკურენტუნარიანობის შესანარჩუნებლად და ამავდროულად მომგებიანობის ზრდასთან დაკავშირებით, რაც გამოიხატება 2024 წლის როგორც გაყიდული პროდუქციის რაოდენობის, ასევე მომგებიანობის ზრდაში.

4. ფილიალები

სს საქკაბელი ფლობს 8 ოფიციალურ მაღაზიას საქართველოში . თითოეულ მაღაზიას ჰყავს მენეჯერი რომელიც პასუხისმგებელია მაღაზიის საქმიანობაზე. ყველა ფილიალი ახდენს ერთსა და იმავე პროდუქციის რეალიზებას.

ქალაქების მიხედვით ფილიალები არის განაწილებული შემდეგნაირად :

ქ. თბილისი - 1) წერეთელი ქ. #111

- 2) გუდაუთის ქ.#7
- 3) კახეთის გზ. #112
- 4) ხოშარაული ქ. #34
- ქ. ქუთაისი - 5) კონსტანტინე გამსახურდიას ქ. #2
- ქ. ზესტაფონი - 6) სტაროსელსკის ქ. #15
- ქ. ბათუმი - 7) შავშეთის ქ. 24
- 8) ლერმონტოვის ქ.135



5. ზოგადი გარემო და გარეფაქტორების ზემოქმედება კომპანიის ოპერაციებზე

ძირითადი ფაქტორები რომლებსაც გააჩნიათ კომპანიის საქმიანობაზე გავლენა ესენია:

- საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობა
- გაცვლითი კურსის ცვლილებები
- დაფინანსების ხელმისაწვდომობა
- კონკურენცია
- ძირითადი ნედლეულის ფასების ცვლილება

6. წარმატების კრიტიკული ფაქტორები

არსებობს რამდენიმე წარმატების კრიტიკული ფაქტორი, რომლებზეც დაფუძნებულია კომპანიის წარმატება. ესენია:

- მრავალწლიანი გამოცდილება, საწარმოო პროცესის წლების მანძილზე დახვეწა გაუმჯობესება და თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა.
- ბრენდული, მაღალ ხარისხიანი არასაკაბელო პროდუქციისა და აგრეთვე ევროპული სტანდარტის შესაბამისი ნედლეულის იმპორტი, ამასთანავე მომწოდებლებთან გრძელვადიანი სტრატეგიული პარტნიორობის ჩამოყალიბება და შენარჩუნება.
- მართვის, კონტროლის, ლოჯისტიკური პროცესების გამართულობა და პერიოდული ანალიზი.
- წარმოებული პროდუქციის ხარისხის კონტროლი და ბაზარზე შესაბამისი პროდუქციის ხარისხის სტანდარტების დაწესება.
- გრძელვადიანი სტრატეგიული ურთიერთობების დამყარება მომხმარებლებთან, მათი შენარჩუნება სამართლიანობის, სანდოობის და ექსკლუზიური პირობების საფუძველზე.
- როგორც საწარმოო პროცესების ასევე კომპანიის ბიზნეს პროცესების მუდმივი ანალიზი ოპტიმიზაცია და ინოვაციების დანერგვა.
- ბაზრის ანალიზი კლიენტების მოზიდვა და ბრენდთან ლოიალურობის შენარჩუნება.
- კომპანიის გაყიდვების და ფინანსური მაჩვენებლების მუდმივი ანალიზი მონიტორინგი.

7. რისკ ფაქტორების მიმოხილვა

კომპანიის ოპერაციები დაკავშირებულია გარე რისკებთან, რომლებსაც შეუძლიათ იქონიონ გავლენა კომპანიის ოპერაციებზე და მომგებიანობაზე. ძირითადი რისკების ჩამონათვალი და განმარტებები მოყვანილია ქვემოთ:

კომპანიის წინაშე მდგარი და დარგობრივი რისკ ფაქტორები

1. სწრაფად ცვალებადი ფასები ძირითად ნედლეულზე

- კომპანიის ძირითად შემოსავალს წარმოადგენს სპილენძისა და ალუმინის საკაბელო პროდუქციის რეალიზაცია. ამ ორი საკაბელო პროდუქტის ღირებულების განმსაზღვრელი სწორედ სპილენძისა და ალუმინის საბაზრო ფასებია რომლებიც შეიძლება წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად შეიცვალოს. ეს ფაქტორები კი თავის მხრივ ახდენენ ზეგავლენას კომპანიის ფასთა პოლიტიკაზე, შედეგად ფასების სტაბილურობის და ამავდროულად მომგებიანობის შენარჩუნება მნიშვნელოვნად რთულდება.

2. ბაზარზე არსებული საკაბელო პროდუქციის ხარისხი

- საქართველოს ბაზარზე არის რიგი შემთხვევები როდესაც სხვადასხვა ობიექტებში ხდება იაფასიანი და უხარისხო საკაბელო პროდუქციის იმპორტი და რეალიზაცია. სამწუხაროდ ქვეყნის მასშტაბით დღეს დღეობით არ არის შეზღუდვა უხარისხო საკაბელო პროდუქციის იმპორტზე და არ ხორციელდება მათი ხარისხის კონტროლი. სს საქკაბელს კი ევროპული ხარისხის დაცვის პირობებში უხდება მსგავს პროდუქტებთან კონკურენციის გაწევა.

3. ზიანი ბრენდის რეპუტაციაზე

- ვინაიდან კომპანია წარმოადგენს ძლიერ და წამყვან მოთამაშეს აღნიშნულ სექტორში, ბრენდთან დაკავშირებულმა ზიანმა შეიძლება გამოიწვიოს მნიშვნელოვანი უარყოფითი ზეგავლენა კომპანიის რეალიზაციებზე.

მაკროეკონომიკური რისკები

1. ფინანსური რისკები

- ნედლეული მასალების იმპორტიდან გამომდინარე კომპანია აგრეთვე დამოკიდებულია ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილებაზე დოლარისა და ევროს მიმართ

2. სავაჭრო ურთიერთობები მეზობელ ქვეყნებთან

- კომპანია ნედლეულ მასალების იმპორტს ახორციელებს უცხოეთიდან ამ პირობის გათვალისწინებით კი მეზობელ ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობებთან დაკავშირებულმა შეზღუდვებმა ან შეფერხებებმა შესაძლოა იქონიონ ნეგატიური გავლენა კომპანიის საწარმოო პროცესზე.

3. ქვეყანაში არსებული საკანონმდებლო შეზღუდვები

- საქართველოს ეროვნული ბანკი და საკანონმდებლო შეზღუდვები - რეგულაციების ცვლილებამ შესაძლოა უარყოფითი (ან დადებითი) გავლენა იქონიოს კომპანიის შედეგებზე.

3. გადაზიდვების ინდუსტრია

- კომპანიის შედეგებზე ზეგავლენა შეიძლება მოახდინოს ტარიფების ან/და საწვავის ფასების მატების შედეგად გადაზიდვების გაზრდილმა ხარჯებმა.

4. გადასახადები და სამთავრობო ინტერვენცია

- ეროვნული და მინიციპალური გადასახადების მარჟების ცვლილების შედეგად შესაძლოა შეიცვალოს და დაზარალდეს კომპანიის კონკურენტული საფასო პოლიტიკა რაც თავისმხრივ იქონიებს გავლენას კომპანიის გაყიდვების მოცულობაზე და მომგებიანობაზე.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში მოყვანილია რისკ ფაქტორები, მათი ბუნებისა და რანჟირების მიხედვით, რაც ეფუძნება კომპანიის მიერ მის საქმიანობაზე მათი ზეგავლენის შეფასებას:

კომპანიის წინაშე მდგარი და დარგობრივი რისკ ფაქტორები	დიდი ზეგავლენა	ზომიერი ზეგავლენა	მცირე ზეგავლენა
სწრაფად ცვალებადი ფასები ძირითად ნედლეულზე		✓	
ბაზარზე არსებული საკაბელო პროდუქციის ხარისხი		✓	
ზიანი ბრენდის რეპუტაციაზე		✓	

მაკროეკონომიკური რისკები	დიდი ზეგავლენა	ზომიერი ზეგავლენა	მცირე ზეგავლენა
ფინანსური რისკები	✓		
ეკონომიკური მდგომარეობა საქართველოში	✓		
სავაჭრო ურთიერთობები მეზობელ ქვეყნებთან	✓		
გადაზიდვების ინდუსტრია			✓
გადასახადები და სამთავრობო ინტერვენცია		✓	

8. საკუთარი აქციები

2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მიერ გამოშვებულმა აქციების რაოდენობამ შეადგინა 734,174 ჩვეულებრივი აქცია, ნომინალური ღირებულებით 1 ლარი. 2014 წლის სექტემბერში და 2014 წლის ოქტომბერში, აქციონერთა მიერ სააქციო კაპიტალში შეტანილი იქნა 244,258 ლარი და 175,560 ლარი, შესაბამისად. აღნიშნულის შედეგად, დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის სააქციო კაპიტალმა შეადგინა 1,153,992 ლარი.

2017 წელს, აქციონერთა მიერ მიღებული გადაწყვეტილებით, კომპანიის სააქციო კაპიტალი გაიზარდა 104,647 ლარით. 2017 და 2016 წლებში არ მომხდარა დივიდენდების დეკლარირება და გადანაწილება.

2017 წელს, ბრუნვაში არსებული ჩვეულებრივი აქციების საშუალო შეწონილმა რაოდენობამ შეადგინა 734,174 ცალი. შემოსავალმა აქციაზე შეადგინა 1,69 ლარი (2016: 0,27 ლარი). 2017 წელის განმავლობაში არ მომხდარა აქციების გასხვისება და შეძენა.

2018 წლის განმავლობაში შემოსავალმა აქციაზე შეადგინა 0.25 ლარი 2017 წლის განმავლობაში არ მომხდარა აქციების გასხვისება და შეძენა.

შემდგომ წლებში არ მომხდარა აქციების გასხვისება და შეძენა.

9. წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი განმარტებები

კომპანიის განმარტებები წლიური ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ მოცემულია აუდირებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში რომლის გამოშვებაც მოხდა 2025 წლის 30 სექტემბერს. მენეჯმენტის შეფასებით სხვა დამატებითი განმარტებები აღარ არის საჭირო რომ აისახოს მმართველობის ანგარიშგებაში.

დირექტორი

კონსტანტინე ჯანანაშვილი

თარიღი - 30 სექტემბერი 2025 წელი

8. საკუთარი აქციები

2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მიერ გამოშვებულმა აქციების რაოდენობამ შეადგინა 734,174 ჩვეულებრივი აქცია, ნომინალური ღირებულებით 1 ლარი. 2014 წლის სექტემბერში და 2014 წლის ოქტომბერში, აქციონერთა მიერ სააქციო კაპიტალში შეტანილი იქნა 244,258 ლარი და 175,560 ლარი, შესაბამისად. აღნიშნულის შედეგად, დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის სააქციო კაპიტალმა შეადგინა 1,153,992 ლარი.

2017 წელს, აქციონერთა მიერ მიღებული გადაწყვეტილებით, კომპანიის სააქციო კაპიტალი გაიზარდა 104,647 ლარით. 2017 და 2016 წლებში არ მომხდარა დივიდენდების დეკლარირება და გადანაწილება.

2017 წელს, ბრუნვაში არსებული ჩვეულებრივი აქციების საშუალო შეწონილმა რაოდენობამ შეადგინა 734,174 ცალი. შემოსავალმა აქციაზე შეადგინა 1,69 ლარი (2016: 0,27 ლარი). 2017 წლის განმავლობაში არ მომხდარა აქციების გასხვისება და შეძენა.

2018 წლის განმავლობაში შემოსავალმა აქციაზე შეადგინა 0.25 ლარი 2017 წლის განმავლობაში არ მომხდარა აქციების გასხვისება და შეძენა.

შემდგომ წლებში არ მომხდარა აქციების გასხვისება და შეძენა.

9. წლიურ ფინანსურ ანგარიშებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი განმარტებები

კომპანიის განმარტებები წლიური ფინანსურ ანგარიშებაში ასახული თანხების შესახებ მოცემულია აუდირებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშებაში რომლის გამოშვებაც მოხდა 2025 წლის 30 სექტემბერს. მენეჯმენტის შეფასებით სხვა დამატებითი განმარტებები აღარ არის საჭირო რომ აისახოს მმართველობის ანგარიშებაში.

დირექტორი

კონსტანტინე ჯანანაშვილი

თარიღი - 30 სექტემბერი 2025 წელი

